№25/2026
29.05.2026 წ.

სს „თბილისის საფონდო ბირჟის“ აქციონერებს

პატივცემულო აქციონერებო,

გაცნობებთ, რომ 2026 წლის 22 ივნისს, 12:00 საათზე, კანონმდებლობისა და საზოგადოების წესდების სრული დაცვით, ჩატარდება სს „თბილისის საფონდო ბირჟის“ (ს/ნ 405099682, იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N71, მე-10 ბლოკი, მე-7 სართული, ოფისი N7, შემდგომში - „ბირჟა“) აქციონერთა **მორიგი საერთო კრება** დაუსწრებლად, წინასწარი ელექტრონული გამოკითხვის გზით, შემდეგი დღის წესრიგით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბირჟის 2025 წლის აუდიტებული კონსოლიდირებული და ცალკე მდგომი ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცების შესახებ;
2. ბირჟის 2025 წლის მოგების განაწილების (დივიდენდების გადახდის) შესახებ;
3. ბირჟის სადამფუძნებლო შეთანხმებაში იურიდიული მისამართის ცვლილების შესახებ;
4. ბირჟის 2026 წლის ფინანსური აუდიტის (როგორც კონსოლიდირებული, ასევე ცალკე მდგომი კომპანიისთვის) ჩასატარებლად აუდიტორული ფირმის არჩევის შესახებ;
5. ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე წინამდებარე მოწვევის წერილზე თანდართულია:

- გადაწყვეტილების პროექტი / ხელმძღვანელი ორგანოს რეკომენდაცია (დანართი 1);

აღნიშნული დოკუმენტი აგრეთვე გამოქვეყნებულია მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე და ბირჟის ვებ-გვერდზე: www.tse.ge

დღის წესრიგის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აუდიტებული კონსოლიდირებული და ცალკე მდგომი ფინანსური ანგარიშგებები განთავსებულია ბირჟის ვებ-გვერდზე: www.tse.ge

ბირჟის ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით, კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2026 წლის 29 მაისი. საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღის მდგომარეობით ირიცხებიან აქციონერებად;

საერთო კრებაზე ხმის მიცემა ხდება წერილობითი ფორმით;

<u>კრებაში მონაწილეობის მისაღებად, გთხოვთ, დაიცვათ ქვემოთ მოცემული დანაწესი, რათა თქვენი მონაწილეობა კრებაში ლეგიტიმურად ჩაითვალოს და თქვენი ხმა აღირიცხოს ქვორუმში:</u>

1. **გთხოვთ, სააღრიცხვო თარიღის შემდეგ და კრების ჩატარების თარიღამდე სულ მცირე 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე პერიოდში, ე.ი. 01.06.2026 - 18.06.2026 წ. პერიოდში** გვაცნობოთ (დამიბრუნოთ პასუხი "reply all" გზით /მოგვწეროთ ელ-ფოსტაზე: tkhizanishvili@tse.ge) დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხ(ებ)ზე ქვემოთ მოცემული ჩამონათვალიდან თქვენს მიერ მიღებული რომელიმე გადაწყვეტილება:

   ა) ვეთანხმები; ან

   ბ) არ ვეთანხმები; ან

   გ) თავს შევიკავებ.

2. თქვენი უფლებაა გამოთქვათ აგრეთვე წერილობითი მოსაზრება დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხ(ებ)თან მიმართებაში, რაც საბოლოოდ აისახება სხდომის ოქმში.

3. კრებაში თქვენი მონაწილეობის უფლება შეგიძლიათ შეამოწმოთ კრების ჩატარებამდე ყოველ სამუშაო დღეს, 11:00-დან 17:30 საათამდე, როგორც ბირჟის აქციათა რეესტრში (რომელსაც აწარმოებს სს „კავკასრეესტრი" მისამართზე: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N74/მოსაშვილის ქ. N11), აგრეთვე ბირჟაზე, რისთვისაც ელექტრონულად (დასკანერებული სახით), უნდა გამოაგზავნოთ სათანადო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ასლი ელ. ფოსტის მისამართზე tkhizanishvili@tse.ge

4. საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეგიძლიათ როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით.

   - წარმომადგენლის დანიშვნა და წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ ბირჟისთვის შეტყობინება ხდება წერილობით, ან ელექტრონულად, ელ-ფოსტაზე tkhizanishvili@tse.ge ინფორმაციის გაგზავნის გზით.
   - წარმომადგენელზე გაცემული მინდობილობა (თუ აქციონერი ფიზიკური პირია) უნდა იყოს დამოწმებული ნოტარიუსის მიერ, ან ხელმოწერილი კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით. ამასთან, მინდობილობაში უნდა განისაზღვროს იმ ელ-ფოსტის მისამართი, რომლიდანაც წარმომადგენელი ელექტრონული გამოკითხვის გზით საერთო კრებაში მიიღებს მონაწილეობას.

5. კრებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დამატებით შეგიძლიათ გაიაროთ კონსულტაცია ჩემთან (მობილური ტელეფონის ნომერი: 570 10 70 08, ელ. ფოსტის მისამართი: tkhizanishvili@tse.ge).

პატივისცემით,

Tamaz Khizanishvili 01025003399

Digitally signed by Tamaz Khizanishvili
Date: 2026.05.29 15:01:59

თამაზ ხიზანიშვილი

დირექტორი

დანართი №1

სს „თბილისის საფონდო ბირჟის“ ხელმძღვანელი ორგანოს რეკომენდაცია
(გადაწყვეტილების პროექტი)

1. **დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით:**

დამტკიცდეს ბირჟის 2025 წლის აუდიტებული კონსოლიდირებული და ცალკე მდგომი ფინანსური ანგარიშგებები.

მოწონებული იქნას ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობა.

2. **დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით:**

კომპანიის მიერ 31.12.2025 წ. მდგომარეობით დაგროვილი მოგებიდან დივიდენდი არ გაიცეს (იხილეთ ბირჟის ფინანსური დირექტორის ხათუნა გვილავას ფინანსური მოსაზრება).

3. **დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით:**

ბირჟის სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში იურიდიული მისამართი/ფიზიკური (ფაქტობრივი) მისამართი ჩაიწეროს შემდეგი სახით:
ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი 71, მე-2 ბლოკი, მე-3 სართული.

4. **დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით:**

ბირჟის 2026 წლის ფინანსური აუდიტის (როგორც კონსოლიდირებული, ასევე ცალკე მდგომი კომპანიისთვის) ჩასატარებლად არჩეული იქნას აუდიტორული ფირმა შპს „ნექსია ჯორჯია“ (ს/ნ 405040682, SARAS-ის სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-550338, საზოგადოებრივი დაინტერესების პირის (სდპ) აუდიტის უფლებამოსილებით).

5. **დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით:**

ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გიორგი თხელიძის (პ/ნ 01005001579) ნაცვლად 3 წლის ვადით არჩეული იქნას ბაქარ მარუაშვილი (პ/ნ 01008022828).